№ 2671
ორშაბათი,
15 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2671
ორშაბათი,
15 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.
ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—8 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ქალაქს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 17 ნოემბ., ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები
I საქმის კაცი — დრამა 3 მოქ. თხზ. მირბოხი, თარ. ვლ. ლორთქიფანიძისა. || II საიდუმლო — კომ. 1 მოქ. ტიხინოვისა, თარგ. შათირიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, ივანიძე, ქ. მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, შალიკაშვილი, შათირიშვილი, ჩარკვიანი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ქ. მესხი შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი ვ. აბაშიძისა. ადმინისტრაცია ამხანაგობა-ისა

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ორშაბათს, 15 ნოემბერს 1904 წელს ბებია ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგად. სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება
„სევილიელი დალაქი" ოპერა 3 მოქ. როსსინისა და „M lle ფიფი" ოპერა 1 მოქ. ც. კიუისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია, მიხაილოვა, ტულლერი, ბუნაკოვა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკარინსკი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, პორუბინოვსკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
16 ნოემბ.—„ფენელლა". გამგე ი. ა. კელლერი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ა. გედევანიშვილისა.
ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ვ. შ. მულდინი.—ყურისა, ყელის და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. ზიდიგანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ვ. პ. ბიჩინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ვ. მოსინი.—ქალისა, სახლებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. შ. ხოჯოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
ა. შ. ხობოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მოიწვევიან. კრავატები დღეში ღირს 1 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] ძველი სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ექიმი
ი. ი. გამბურგერი
რიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—7)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი
მიიღებს და ადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათთ. (თვ.—6.—31)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—20)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—10)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 14 ნოემბერს, მის იმპერატორებით უდიდებულესობის დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გარდაიხადეს წირვა და სამადლობელი პარაკლისი; დაესწრნენ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, გენერლობა და ხალხი. ქალაქი დროშებით იყო მორთული.

✦ როგორც გუშინ მიღებული სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს **გიმნაზიის რეფორმა**. პირველ პროექტში, რომელიც უკვე განუხილავს განსაკუთრებულ საბჭოს, მრავალი ახალი რამეა აღნიშნული, რაც დიდად სცვლის თურმე კლასიკურ გიმნაზიის პროგრამას. სამინისტროს საჭიროდ უცვნია გიმნაზიის პროგრამაში ბუნების-მეტყველების კურსის შეტანა. როგორც განზრახულია, ბუნების მეტყველების საგნებს ასწავლიან მეოთხე კლასიდან. სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია მოსწავლეთა საზოგადო განვითარების ამაღლება. ამისთვის შემოღებული იქნება დასაწყის ფილოსოფიის სწავლება. ამას გარდა სამინისტროს საჭიროდ უცვნია, სრულიად განდევნოს პროგრამიდან არითმეტიკის თეორიის სწავლება. ზოგიერთ საგნების სწავლება, რომელიც დღეს გიმნაზიის კურსში არ არის შეტანილი, მოეწყობა განსაკუთრებულის კონკურსებით. ეს სისტემა ამერიკის საშუალო სასწავლებლებში ყოფილა შემოღებული და კარგი ნაყოფი გამოუღია. გადაწყვეტილია სხვა რიგად მოაწყონ ხატვის სწავლების საქმეც.

✦ 12 ნოემბერს ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში მოიყვანეს სამგზავრო მატარებლების დამცველი ანისიმოვი, რომელსაც **ხოლერის ნიშნები** ეტყობოდა. აჯიკაბულში ავად გახდა ხოლერით მუშების უფროსი, რომელიც ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს. მოკვდა კონდუქტორი ზადოროჟნი, რომელიც ყარაკლისში გახდა ავად. ბაქოში 11 ნოემბერს ავად გახდა სამი. სიკვდილით არავინ მომკვდარა. ერევნის გუბერნიაში სოფ. ვალარშაპატში ავად გახდა ორი. გუმბრის მაზრაში ავად გახდა ერთი, ახალ ბაიაზეთის მაზრაში გარდაიცვალა ორი.

✦ როგორც „კავ."-ი გადმოგვცემს, 23 ნოემბერს ქალაქ განჯაში **სამხედრო ოლქის სასამართლო** განიხილავს განჯის გუბერნიის მცხოვრებთა კრიკორ ღუქასოვის, სიმონ და ოჰანეზ ფარაშევების საქმეს. სამხედრო სასამართლომ ეს საქმე ომიანობის დროის წეს რიგით უნდა გაარჩიოს.

✦ ბორჩალოს მაზრის უფროსს, იმის თანაშემწეს და პოლიციის ორ ბოქაულს ნება მიეცათ **ხოლერასთან ბრძოლის დროს** უსასყიდლოდ იმოგზაურონ ყარსის შტოზე. ეს უფლება სამი თვის ვადით მიეცათ.

✦ **ტფილისის მოქალაქეთა** ახალ რწმუნებულების არჩევნები მოხდება იანვრის პირველ რიცხვებში. ყველა საპოლიციო უბანში ცალკე მოხდება არჩევნები.

✦ „რუსკ. ინვალიდ"-ში დაბეჭდილია მეცხრე სია ომში **მოკლულ, დაჭრილ და ტყვედ წაყვანილ** სალდათებისა. ტფილისელი სამია: ნიკოლოზ ლალაევი, ნიკოლოზ გრიგორის ძე გულიაევი და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გულიაევი. სამივე დაჭრილია.

✦ ხვალ, 16 ნოემბრისთვის, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის **სამკურნალო საზოგადოებისა**. კრებამ, სხვათა შორის, უნდა მოისმინოს რამდენიმე მოხსენება.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა სადგურ ნავთლუხსა და **ავჭალას** დანიშნა ოთხ-ოთხი ყარაული. ამათ თვალყური უნდა ადევნონ, რომ საქონლის მატარებლებზე მგზავრები არ სხდებოდნენ. ამ სადგურზე ყოველთვის ბევრი მგზავრი სხდება საქონლის მატარებლებზე.

✦ როგორც თიანეთის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, 6 ნოემბერს დუშეთიდან, სადაც სამხედრო უფროსთან შეიკრიბნენ **ახლად კენჭ-ნარგებნი**, სადღაც წავიდა და დაიმალა ჩვიდმეტი ჯარში ახლად გაწვეული ყმაწვილი („ტ. ლ.").

დღეს, 15 ნოემბერს, **ტფილისის საბჭოში** 12 ძველ საქმის გარდა განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: მოხსენება კომისიისა ღარიბთა უბნებში საჩაიების გამართვის შესახებ; მოხსენება საფინანსო კომისიისა ქალაქში ნავთის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ; შუამდგომლობა ბელგიის უსახელო საზოგადოებისა ნავთის მილის გაყვანის შესახებ; არჩევანი ქალაქის ქუჩების მომკირწყლელ კომისიის თავმჯდომარისა და სხვა.

✦ 6 ნოემბერს ტფილისიდან სადღაც გაიპარა სულით ავადმყოფი 15 წლის ნიკოლოზ სუხაჩევი. სუხაჩევს რეალურ სასწავლებლის ტანისამოსი აცვია.

✦ სად. ბაქო. 12 ნოემბერს ორთქლმავალი დაეჯახა ცარიელ სახალხო მატარებელს № 17. დაზიანდა ხუთი ვაგონი და ორთქლმავალი.

✦ გუნიბის ქუჩაზე პოლიციის 1-ლ ნაწილში, 12 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზე, სამთო ინჟინერის ნარგოლიუსის სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა მუშა ანაშეკ გეურქოვი და იქვე სული დალია. გვამი მიხეილის სამკურნალოს სანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ 12 ნოემბერს, ღამის 11 საათს, ნიკიტინის ცირკის გვერდით, გოლოვინის პროსპექტზე შემდეგი მოხდა: ოქროევის სახლში ოსმალეთის ქვეშევრდომს, ტომით სომეხს არამს, ელექტრონის თეატრი და მუზეუმი აქვს. აღნიშნულ დროს მუზეუმში შესულა სამი ვიღაც უცნობი კაცი, ვითომც და მუზეუმის დასათვალიერებლად და, როცა მოუხელებიათ დრო და მუზეუმში გარეშე აღარავინა ყოფილა, უთქვამთ: ეხლავ გაგათავებთ, თუ ფულს არ მოგვცემო. არამს ვეღარაფერი ვეღარ მოუხერხებია და უთქვამს, წაიღეთ, რაც გინდათო. ბოროტ-მოქმედებს წაუღიათ ფულად 400 მან. და ძვირფასი ნივთები, თუ რამე ჰქონია მუზეუმის პატრონს; მერე გამოსულან გოლოვინის პროსპექტზე და მიმალულან. ბოროტ-მოქმედთ თან გაუყოლებიათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვლადიმერ სვანიძე, რომელიც მოსამსახურედ ყოფილა არამთან. პოლიციის გამოძიებით სვანიძესაც უნდა მონაწილეობა მიეღოს ამ საქმეში.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის გუბერნიის საბეითალო ინსპექტორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ქუთაისის მაზრის სოფელს ქვიტირში აღმოუჩენიათ საქონლის ჭირი. ეს სოფელი ქუთაისის მოსაზღვრეა დასავლეთით. საჭიროა, მიღებულ იქმნას მხნე ზომები ამ სენის ეხლავე მოსასპობად, თორემ მარტო სენის აღმოჩენა, დახოცილ საქონლის მიწაში ჩაფლვა და სტატისტიკურ ცნობებისათვის საჭირო მასალების შეკრება შესახებ იმისა, თუ რამდენი სული საქონელი იმსხვერპლა სენმა—როგორც საზოგადოდ იციან,—არა კმარა.

✦ მკითხველებს მოეხსენებათ, „რუსეთის სამთო რკინის გზათა საზოგადოება"-ს გაჰყავს რკინის გზა ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმისაკენ. ეს გზა დაიწყება ქუთაისში, გაჰყვება რიონის ხეობით ოსეთის გზატკეცილს სოფელ ალპანამდის; აქედან გადაუხვევს მდინარე ლაჯანურის ხეობისაკენ, რომელიც იწყება როკალის ქედზე, და წავა ლაშხეთამდის. როკალის ქედიდან მეორე ტოტი გაჰყვება ისევ რიონის ხეობას დაბა ონამდის. ჯერ-ჯერობით საზოგადოება კმაყოფილდება ლაშხეთამდის და ონამდის რკინის გზის გაყვანით, შემდეგ კი განზრახვა აქვს ეს გზა გადაიყვანოს კავკასიის ქედზე მამისონის უღელტეხილით და შეუერთოს კავკავის რკინის გზას ელხოტოვოს ან კოტლიარევსკის სადგურთან. მთელს გზას, საზოგადოების ანგარიშით, ექნება სიგრძე არა უმეტეს 230 ვერსისა და დაჯდება სულ 50 მილიონ მანეთამდის. საზოგადოება ეხლა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს ისარგებლოს ქუთაისის სადგურითა და რიონის რკინის გზის ტოტით. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მაშინ ახალი გზა გაჰყვება გასწვრივ აღმოსავლეთით ტყიბულის რკინის გზის ტოტს, რომელსაც გადასჭრის დასავლეთისკენ მესამე ვერსზე და შემდეგ დაეშვება რიონის ხეობისაკენ. იმ შემთხვევაში-კი, თუ მავრობამ არ შეიწყნარა ხსენებულ შუამდგომლობა, მაშინ საზოგადოება იძულებული ხდება საკუთარი სადგური გამართოს რიონის მარჯვენა ნაპირზე, რომელსაც შეუერთებს რიონის რკინის გზის სადგურს. ხსენებულ საზოგადოებას თხოვნით მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის, ქალაქმა უფასოდ დაუთმოს რკინის გზის გასაყვანად საჭირო ქალაქის მამულები, სადორიის აგარაკში, თითო ვერსის სიგრძეზე არა უმეტეს 9 დესიატინისა; გარდა ამისა, ნება მისცეს უფასოდ ისარგებლოს ქალაქის მამულებიდან საშენი მასალით: ქვით, სილით, თიხით, წყლითა და სხ. ამასთანავე იკისროს ტეხნიკურ-ეკონომიურ გამოკვლევებისათვის და რკინის გზის პროექტის შესადგენად საჭირო ხარჯების ნაწილი. საზოგადოების თხოვნას განიხილავს ქალაქის საბჭო. 8 ნოემბერს, საზოგადოების წარმომადგენელმა ქალაქის ინჟინრის თავ. დ. გ. ჯორჯაძის თანადასწრებით დაათვალიერა ქალაქის ის ადგილები, სადაც ჰპირებენ რკინის გზის გაყვანას. რკინის გზის ლიანდაგისათვის საჭირო მამულების შესაძენად საზოგადოებას ნაანგარიშევი ჰქონდა თითო ვერსზე 2800 მანეთი, ასე რომ მარტო სოფ. ალპანამდის, რომელიც ქუთაისიდან თითქმის 42 ვერსითაა დაშორებული, საზოგადოებას სჭირდებოდა **117,000** მანეთი. როგორც საზოგადოების წარმომადგენელმა გადმოგვცა, მამულების შესაძენად ეხლა საზოგადოებას ფული თითქმის სულ აღარ სჭირდება, რადგან, როგორც კერძო მესაკუთრენი, ისე ხაზინა და საზოგადო დაწესებულებანი, უფასოდ უთმობენ რკინის გზის ლიანდაგისათვის საჭირო ადგილს.

რუსეთის ქრონიკა

✦ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზე გადასწყვიტა, საფუძვლიანად შეიმუშაოს და შეავსოს წიგნთ, საცავ-სამკითხველოებისთვის სახმარ წიგნების სია. რადგან მუდამ ისმის საჩივარი, რომ სიაში ერთობ ცოტა წიგნებია მოთავსებული და ამასთან დაძველდაო, კომიტეტს გადაუწყვეტია მიმართოს კერძო საზოგადოებებს და კერძო პირებს, რომელთაც ეს საქმე აინტერესებთ, და სთხოვოს წარმოადგინონ თავიანთი აზრი წიგნების სიის შესახებ, აგრეთვე დაასახელონ ის გამოცემები და წიგნები, რომლებიც გამოსადეგი იქნება სახალხო წიგნთსაცავისა და სამკითხველოებისთვის.

✦ გუშინ გვქონდა დაბეჭდილი კიევის უნივერსიტეტის რექტორის განცხადება; ამის პასუხად „კიევის ოტკლიკ"-ში შემდეგი შენიშვნაა: გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი ყრილობებისა და უწესოებების აღკრძალვის შესახებ უნივერსიტეტს არაფრის გულისათვის არ ეხება. სტუდენტები და ყველა სხვა სასწავლებლის მოსწავლენი ექვემდებარებიან თავიანთ პირდაპირ მთავრობას. თუ უნივერსიტეტში უწესოებანი მოხდა, ზომების მიღება ამ უწესოებების მოსასპობად დამოკიდებულია მხოლოდ უნივერსიტეტის მთავრობაზე. პოლიციის უფლება არა აქვს უნივერსიტეტში შევიდეს, თუ იგი სასწავლებლის უფროსმა, ან სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა არ მიიწვია. ამიტომ რექტორის განცხადება კანონიერი არ არის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 ნოემბერი

ტოკიო, 12 ნოემბერი („რეიტერი"). ყველა დარწმუნებულია, რომ ამ მოკლე ხანში იაპონელები ერთობ გააძლიერებენ პორტ-არტურის წინააღმდეგ მოქმედებას. იაპონელებს მარჯვედ გაჰყავთ თხრილები მიწის ქვეშ უმთავრეს პოზიციებისაკენ და ნაყოფიერად მოქმედებენ.

ლონდონი, 12 ნოემბერი („რეიტერი"). კუროკის არმიაში მყოფი „სტანდარდ"-ის კორესპონდენტი იუწყება 11 ნოემბერს: „არაფერი არ მოასწავებს, რომ რუსები სამხრეთისკენ გალაშქრებას აპირებდნენ. შაჰოზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გასულ ღამეს რუსები იაპონელთა მარცხენა ფრთაზე გამოჩნდნენ, მაგრამ იაპონელებმა ადვილად უკუაქციეს ისინი. რუსთა ბატარეების სროლა, რომელიც ყოველ დღე იყო, ეხლა შესუსტდა. ოიამა და იაპონიის გენერლები დარწმუნებულნი არიან, რომ თავის პოზიციებს შეინარჩუნებენ, რამდენიც უნდა გაუგზავნონ მაშველი ჯარი რუსებს. ყოველ დღიურ შეტაკებების დროს მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი მცირეა.

სუეცი, 13 ნოემბერი („რეიტერი"). შუადღისას მოვიდა ბალტიის ფლოტის რაზმის ყველა გემი და სუეცის რეიდზე დადგნენ. რუსის საესკადრო ჯავშნიანი გემი „სისოი ველიკი" ისე მოვიდა, რომ გზაში არაფერი შემთხვევია. ინგლისის კრეისერმა „ვერმიონე"-მ ცამეტჯერ ისროლა ზარბაზანი და ამით სალამი მისცა რუსის გემს. „სისოი ველიკი"-ს ჯავშნიანი გემი „ნავარინ"-ი მოჰყვა. მუსიკა უკრავდა ინგლისის ჰიმნს, მარსელიეზას და ეგვიპტის ჰიმნს. „სისოი ველიკი"-მ სალამის საპასუხოდ 13-ჯერ ისროლა ზარბაზანი.

ბერლინი, 12 ნოემბერი. „ლოკალ ანცაიგერ"-ის სიტყვით, რუსის მთავარ სადგურს ცნობა მოუვიდა ჩინელებისაგან, კუროკის გვამი ინკოუს მოიტანესო.

პეტერბურგი, 13 ნოემბერი. უმაღლესმა საზღვაო სასამართლომ განიხილა საქმე დაჭერილ ინგლისის გემის „შელტენჰემ"-ის შესახებ და რუსების საქციელი წესიერად იცნო.

14 ნოემბერი.

მუკდენი, 13 ნოემბერი (საკუთ. კორ.). სინზინტინის უნაყოფო დემონსტრაციის შემ-

დეგ იაპონელები იდარ სცდილობენ გადავიდნენ ტაიძისზე და მარჯვენა ნაპირზე დგანან, სადაც დიდ სიმაგრეებს აშენებენ. პოზიციებზე სიწყნარეა.

ხუეჲი, 13 ნოემბერი. 9 ტრანსპორტმა ღამე გაატარა მწარე-მლაშე ტბებში, სამხედრო გემების გვერდით, რადგან ღამე მათი გეზავნა ელექტრონის სინათლით საშიშარი ეგონათ. მთელი ესკადრა ამ ჟამად სუეცს ელოდება. ჰფიქრობენ, ყველა გემი შუადღემდის გაივლის არხს.

შერბურგი, 13 ნოემბერი. მოვიდა სკაგენიდან რუსის ორი კონტრ-ნაღმიანი გემი და ერთი ტრანსპორტი.

იზმაილია, 13 ნოემბერი. წავიდა რუსის ესკადრის უკანასკნელი რაზმი.

ლონდონი, 13 ნოემბერი. შუაღამეს ბალტიის ესკადრის დამატებითმა რაზმმა გაიარა ლოვესტოფტიდან 14 მილის მანძილზე. სამხედრო გემები ელექტრონით ანათებდნენ გზას და პროჟექტორებით სიგნალებს აძლევდნენ ერთმანეთს.

ნაგასაკი, 13 ნოემბერი. აქ მოსული უცხოელი 8 ნოემბერს წამოვიდა ვლადივოსტოკიდან და ამბობს, იქ ერთი თვის განმავლობაში 20-მა გემმა შეიარა ნახშირითა და სხვა-და-სხვა საქონლითაო. „ბოგატირ"-ი გამოვიდა გემთ-საშენებლიდან, მაგრამ სამსახურისთვის არ გამოდგება; გემის წინა ნაწილს პონტონები აქვს შედგმული. „გრომობოი"-ს 25 გვერდი აქვს შენგრეული. შეკეთებას რამდენსამე თვეს მოუნდებიან. პეტერბურგიდან მიღებულმა წყლის ქვეშ მავალმა გემებმა კარგად დაასრულეს ვარჯიშობა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

13 ნოემბერი.

ბერლინი, 12 ნოემბერი. „ლოკალ ანცაიგერს" მუკდენიდან ატყობინებენ: ისპანიის სამხედრო ატაშეს გარდა იქიდან ამერიკელების ორი ატაშეც წავიდა. საფრანგეთისა და ინგლისის ატაშეებიც მალე აპირობენ წასვლას.

ჩანსიამუტუნი, 13 ნოემბერი. გუშინ დღისით სიწყნარე იყო. პატარა თოვლი მოვიდა. რადგან ღამ-ღამობით მტერთან ხშირი შეტაკება გვიხდება, ამიტომ გამოგონილ იქმნა ღამის სასიგნალო სისტემა. ხშირად თბილ ჰაერით გავსებულ აეროსტატებსაც ხმარობენ. აეროსტატებს აბამენ სხვა-და-სხვა ფერის ფარნებს სიგნალების გადასაცემად. სადარაჯო რაზმებში იაპონელებს ბევრი დაგეშილი ძაღლი ჰყავთ.

პეტერბურგი, 13 ნოემბერი. უმაღლესი რესკრიპტი ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის სახელობაზე. „თანახმად თქვენის სურვილისა გაგანთავისუფლეთ-რა იაპონიის წინააღმდეგ მომქმედ ხმელეთისა და საზღვაო მხედრობის მთავარ-სარდლის თანამდებობისაგან, მე სიამოვნებით ვიგონებ თქვენს ღვაწლს შორეულ-აღმოსავლეთში, როგორც ჩინეთის არეულობის დროს 1900 წელს, ისე იაპონიასთან ახლანდელ ომის დროს, როდესაც თქვენ კეთილ-გონივრულის მოქმედებით სრულიად გაამართლეთ ჩემი თქვენდამი ნდობა. საესკადრო ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკ"-ს რომ უბედურება შეემთხვა და ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი მაკაროვი დაიღუპა, თქვენ ჩემის ბრძანებით, დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსობას შეუდექით და ჩვეულებრივის მხნეობითა და გამჭრიახობით მოიგერიეთ მრავალი იერიში მტრის მიერ ბრანდერებითა და ნაღმიან გემებით მოტანილი უმთავრესად პორტ-არტურის გასავლის ჩასაკეტად. დიდად ვაფასებრა თქვენს სამხედრო ღვაწლსა და ჩემის გულწრფელის მადლობის გამოსაცხადებლად, გნიშნავთ წმ. მრავალ-წამებულის ძლევამოსილ გიორგის საიმპერატორო ორდენის მესამე სარისხის კავალერად; ამ ორდენის ნიშანსაც ამასთანავე გიგზავნით. თქვენდამი უცვლელად კეთილგანწყობილი. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია: „და გულწრფელად მადლობელი ნიკოლოზ".

ბერლინი, 13 ნოემბერი. „ლოკალ-ანცაიგერ"-ის ტოკიოელ კორესპონდენტისაგან დღეს ცნობა მოვიდა, იაპონელებმა პორტ-არტურთან გაიმარჯვეს და კიკვანშანის აღმოსავლეთ გორებს იქით მარჯვე პოზიციები დაიჭირესო. ამ ჟამად სუნშუნის ფორტის ტრანშეებზე მიაქვთ იერიში. მოშორებით დადგმული ზარბაზნები ფორტის ზემო ნაწილს უშენენ ყუმბარას.

პეტერბურგი, 13 ნოემბერი. უმაღლესმა საპრიზო სასამართლომ სხდომა მოახდინა 21 ივნისს ვლადივოსტოკის კრეისერების მიერ დაჭერილ ინგლისის გემ „შელტენჰემ"-ის საქმეზე. სასამართლომ გემის პატრონის საპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა და ვლადივოსტოკის საპრიზო სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

14 ნოემბერი.

პეტერბურგი, 14 ნოემბერი. 12 ნოემბერს რუსეთისა და ინგლისის მთავრობებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც შეეხება ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ შემთხვევის საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის მოქმედების პირობებს.

შერბურგი, 13 ნოემბერი. მოვიდა რუსის ტრანსპორტი „პეტერბურგ"-ი ორის კონტრნაღმიანის გემით.

ჩანსიამუტუნი, 13 ნოემბერი იაპონელებმა ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში რამდენიმე დემონსტრანცია მოახდინეს ჩვენი მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და 11 ნოემბერს, ნაშუადღევს 2 საათსა და 40 წუთ. გამოილაშქრეს აღმოსავლეთის მხარეს ერთის ჩვენის რაზმის წინააღმდეგ. იაპონელთა ქვეითა ჯარის სამმა ბატალიონმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში რუსებზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. განსაკუთრებით გამწვავებული ბრძოლა უკანასკნელ იერიშის დროს მოხდა, როცა იაპონელები თითქმის სრულიად მივიდნენ რუსებთან, რომლებმაც სროლა აუტეხეს. ამ დროს იაპონელები ძლიერ დაზარალდნენ. საღამოს ბრძოლა შესწყდა, ღამე-კი ისევ განახლდა. იაპონელებმა ხელახლად მიიტანეს იერიში რუსებზე, მაგრამ რუსებმა სროლა აუტეხეს და უკან დაახევინეს, 12 ნოემბერს იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდა. იაპონელთა ქვეითა ჯარის ერთმა ბრიგადამ 12 ზარბაზნით, დილის 11 საათზე გამოილაშქრა რუსის რაზმის შუაგულ პოზიციის წინააღმდეგ. შუადღისას იაპონელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ამავე დროს რუსის არტილერიამ ჩააჩუმა იაპონელების არტილერია. 4 საათზე დაიწყო თოვლი და ქარბუქი; ჯანყი დადგა. იაპონელები ჯანყში მიეფარნენ ჩვენ არტილერიის მოქმედებას და ისევ მიიტანეს იერიში მთელ ჩვენ რაზმზე. ბრძოლამ 3 საათი გასტანა და 7 საათზე იაპონელები უკუქცეულ იქმნენ. რუსების რაზმი თავის პოზიციებზე დარჩა, მხოლოდ ცოტათი უკან დაიწია თავისი მარცხენა ფრთა. რუსების ზარალი მცირეა.

შერბურგი, 14 ნოემბერი. სკაგენიდან შერბურგს გადასვლის დროს რუსის კონტრ-ნაღმიანი გემები ცუდმა ამინდმა შეაწუხა. ცოტათი დაზიანდნენ კონდენსატორები, რომელთა შეკეთებას ორ დღეს მოუნდებიან. კონტრ-ნაღმიან გემების რაზმი ორშაბათ საღამოს პორტ-საიდს წავა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

14 ნოემბერი

მუკდენი, 13 ნოემბერი. (საკუთ. კორ.) იაპონელთა ქაღალდის ფული იმდენად გამრავლდა, რომ ამ ფულის კურსმა ინკოუს 70 პროცენტით დაიწია. იაპონიის არმიას სანოვაგე საკმაო არა აქვს. ჩინელები იჯარას ერიდებიან.

მუკდენი, 13 ნოემბერი. (საკუთ. კორ.) ხმებია, იაპონელთა ზოგიერთი გემი, რომელნიც პორტ-არტურთან იყვნენ, სასებოსა წავიდნენ დაზიანებულ ნაწილების შესაკეთებლადო. იაპონიიდან მოსულ ყველა მაშველ ჯარს დალნიდან პორტ-არტურისკენ ჰგზავნიან.

მუკდენი, 13 ნოემბერი (საკუთ. კორ.) ლიაოიანში იაპონელებმა არსენალი გამართეს და ბევრ დაზიანებულ და გაფუჭებულ ზარბაზნის შეკეთებას შეუდგნენ. იაპონელები აგროვებენ ძაღლებს სადარაჯო სამსახურისათვის. იაპონელებმა გაჩხრიკეს რამდენიმე ვაჭარი, რუსის მანეთიანები უნახეს, ჯაშუშობა დასწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

მუკდენი. (საკუთ. კორ.) 11 ნოემბერს იაპონელებმა სცადეს ხუანტაის გორაზე რამდენიმე ზარბაზნის დადგმა, მაგრამ უკუქცეული იქმნენ. პუტილოვის გორის ახლოს რუსის მოხალისეები წინ წავიდნენ და დაიჭირეს ტყე ნანვანზის ახლოს.

ლონდონი, 13 ნოემბერი („რეიტერი"). „რეიტერის საგ."-ს ცნობებით იაპონელებს ძლიერ აღელვებს ის გარემოება, რომ რუსებს სულ უფრო და უფრო მეტ ნახშირს უგზავნიან ინგლისიდან და აგრეთვე სხვა-და-სხვა მიხვეულ გზებით უგზავნიან ინგლისელთა ხელიდან გამოსულ დიდძალ სამხედრო მასალას. იაპონელებს მეტად უკვირთ, რომ ინგლისის მთავრობამ ვერ დააბრკოლა ყველა ამ მასალის გზავნა რუსებისათვის. შემდეგი აზრიც გამოირკვა: თუ ჯერ-ჯერობით მთავრობას კანონიერი საფუძველი არა აქვს თავის ქვეშევრდომთ აუკრძალოს მოკავშირე სახელმწიფოს, იაპონიის, მტრის დახმარება, ამგვარი საფუძველი უნდა აღმოჩენილ იქნასო. ბარონმა სუემაცუმ აღნიშნა ის გარემოება, რომ დღევანდელი საქმის ვითარება ერთნაირად მავნებელია როგორც ინგლისელთა ისე იაპონელთათვისო და გამოაცხადა, ორივე ერის წმინდა მოვალეობაა, ყოველნაირად ეცადნენ განამტკიცონ კავშირი, რომელსაც ორივე ერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. —რადგან ხმა გავრცელდა, თითქო იაპონიას დიდძალი ქვანახშირი ეყიდოს, იაპონიის მისია აცხადებს, ინგლისში სრულიად არ უყიდია იაპონიას ქვა-ნახშირიო.

ბერლინი, 13 ნოემბერი. დედოფალმა მიიღო წითელი ჯვრის ექვსი მოწყალების და, რომელნიც გერმანელ საავადმყოფოს მიჰყობიან ირკუტსკში.

პეტერბურგი. ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი კუტაისოვი დაინიშნა საპატიო აპეკუნად.

დაძიაპუ, 13 ნოემბერი (საკუთ. კორეს.). 12 ოქტომბერს ღამით ვილმანსტრანდის პოლკის მოხალისეები პოდპორუჩიკ სპინცის უფროსობით ჩუმად მიიპარნენ იაპონელების პოზიციის ორ ზურგიან გორაზე, სოფ. ჩანლინძას ახლო. გორის ფერდობზე სანგარში მოხალისეებმა მტრის დარაჯები შენიშნეს, რიცხვით 30 კაცამდე. ყოჩაღმა მოხალისეებმა ჯერ სამჯერ თოფები დაცალეს, მერე შტიკებით ეცნენ დარაჯებს და 20 კაცი მოჰკლეს,—ზოგი სანგარში, ზოგი გორის ფერდობზე. მტერმა გორის ფერდობზე რამდენსამე რიგად გამართულ სანგრებიდან თოფი დაუშინა მოხალისეებს და უკან დაახევინა; მოხალისეებს ორი კაცი მოუკლეს და ერთი დაუჭრეს. ერთი მოხალისე ნიკაპსა და თვალში დასჭრეს, მაგრამ მაინც არაფრის გულისათვის არ მოინდომა საავადმყოფოში წასვლა, იირა შეახვევინა და ისევ თავის რაზმში დარჩა.

დაძიაპუ, 13 ნოემბერი (საკუთ. კორ.). სამარის პოლკის მოხალისენი პორუჩიკ ლუკინსკის უფროსობით ღამით ორ რაზმად წავიდნენ სოფ. ფანშენისაკენ, სადაც იაპონელები იდგნენ. მოხალისეებმა სოფელს თოფი დაუშინეს; იაპონელებმა უკან დაიხიეს. საპიორთა პირველ ბატალიონის 6 საპიორმა სოფელში მტრის სამი სამზვერავო კოშკი დაანგრია, თუმცა მტერი ყველა მხრიდან თოფს უშენდა. მოხალისეებმა მთელ სოფელზე გაიარეს, იაპონელ მსროლელთა ხიდები დაანგრიეს და თან დიდი ზარი წაიღეს; ამ ზარს მტერი განგაშის დასაკვრელად ხმარობდა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

ხუეჲი, 13 ნოემბერი („რეიტერი"). რუსის კონტრ-ნაღმიანი გემები დაბრუნდნენ და ტრანსპორტებისაგან ნახშირი მიიღეს. რუსის ესკადრა უთუოდ 14 ნოემბერს დილის 4 საათზე წავა. კონტრ-ნაღმიან გემებს აქაურ მთავრობისაგან ბრძანება მოუვიდათ, ნავთსადგურს დაშორდნენ სამი მილის მანძილზე, რადგანაც იმათი მოსვლის შემდეგ 24 საათმა გაიარა. რუსის ესკადრას შაღუანამდის ეგვიპტის კრეისერები გაჰყვებიან და თვალყურს ადევნებენ ნეიტრალიტეტის დაცვას. ნახშირის მიცემა რუსის ესკადრისათვის აკრძალულია, მხოლოდ სურსათისა და წყალის მიტანა არის ნებადართული.

ტრიესტი, 13 ნოემბერი („კორ ბიურ."). სამეცნიერო მიზნით გაგზავნილმა რუსის კომისიამ, რომელიც შესდგება გენერალ ბარინკას, თავ. დოლგორუკოვისა და ერთის პოლკოვნიკისაგან, გამოიარა აქ და საზღვაო ოლქის უფროსის თანხლებით დაათვალიერა ვერფი.

14 ნოემბერი

პეტერბურგი. 3-დან 9 ნოემბრამდის კავკასიაში ხოლერა ერთობ გაძლიერდა. ხოლერით ავადმყოფნი არიან განჯის გუბერნიასა და ტფილისში. მიზეზად ხოლერის გაძლიერებისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ სპარსეთიდან მუშები დაბრუნდნენ. ავადმყოფთა რიცხვი ყველაზე მეტი ერევნის გუბერნიაში იყო: ავად გახდა 522 და გარდაიცვალა 342 კაცი. ბაქოს მაზრაში აღმოაჩინეს ხოლერით ავადმყოფნი განჯის გუბერნიაში 10 კაცი გახდა ავად ხოლერით. ვოლგის განაპირა გუბერნიებში ავადმყოფთა რიცხვი იმას არ აღემატება რაც გასულ კვირაში იყო. ასტრახანის გუბერნიაში ავად გახდა 11 და გარდაიცვალა 5 კაცი. ასტრახანში ავად გახდა სამი და გარდაიცვალა ერთი. სამარის გუბერნიაში რამდენიმე კაცი გახდა ავად. სარატოვის გუბერნიაში შემდეგ ადგილებში გახდნენ ავად: სარატოვში—1, ცარიცინში—9, კამიშინში—3. ვოლსკის მაზრაში—3 და სარატოვისაში—1. იმიერ კავკასიის ოლქში ხოლერა მხოლოდ სპარსის საბოქაულოში გაჩნდა.

პარიზი, 13 ნოემბერი. იმ მუხლიდან, სადაც საელჩოების შესახებ ხარჯთ-აღრიცხვაა, გამორიცხულია ვატიკანში მყოფ ელჩის შესანახი ფული.

ბერლინი, 13 ნოემბერი („ვოლფი"). ჰერეროების აჯანყებამ შვიდი მილიონი მარკა ზარალი გამოიწვია.

სტამბოლი, 12 ნოემბერი („კორ. ბიურ."). ამ უკანასკნელ დროს ბევრ ქალაქში მომხდარმა ოფიცრებისა და სალდათების დემონსტრაციებმა, რომელთაც [illegible] ჯამაგირი არ მიუღიათ, ძალიან შეაშინა ილდიზი და პორტა. რამდენიმე კრება მოხდა ამის თაობაზე.

არიოლი, 14 ნოემბერი. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ პუშკინის ქუჩაზე ნახეს სრულიად დამწვარი და საშინლად დამახინჯებული მემამულე ქალის ხრუშჩოვას ცხედარი.

ბახმუტი, 14 ნოემბერი. პროფესორმა სენიკმა, რომელიც გაგზავნილი იყო კომიტეტისაგან შემწირულების შესაკრებლად, მოწყალების ძმათა რაზმის შედგენის დასახმარებლად, ბახმუტისა და ეკატერინოსლავის მაზრების გლეხებისა და კერძო პირებისაგან 30 ათას მანეთზე მეტი შეაგროვა.

პარიზი, 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზე კამათის დროს მომხსენებელმა დიუბეუმ პროტესტი გამოაცხადა იმ სიტყვებ[illegible] დიუბეუს მაწერს. გა[illegible]ფრანგთა და რუსთა კავშირი სამ[illegible] დელკასემ გააწყვეტინა მას სიტყვა და სთქვა, რომ რუს-ფრანგთა კავშირი არასოდეს არ ყოფილა იმდენად სასარგებლო, როგორც ამ ჟამად არისო. არასოდეს არ ჰქონია საფრანგეთს უკეთესი შემთხვევა დაემტკიცებინა თავის ერთგულება იმ ხელ-შეკრულებისა, რომელიც იცავს ორივე ერის ინტერესებსაო.

13 ნოემბერი

კოვნო, 13 ნოემბერი. შავლისა და როსიენის მაზრების თავად-აზნაურობამ შუამდგომლობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს 1864 წლის კანონის საფუძვლით ერობის შემოღების შესახებ და აცხადებს, დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ ერობის საშუალებით მოწესრიგდება ადგილობრივი საქმეებიო.

ჰელსინგფორსი, 13 ნოემბერი. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი თავადი ობოლენსკი წავიდა პეტერბურგს.

განჯა, 10 ნოემბერი. ჯებრაილისა და ზანგეზურის მაზრებში, არაქსის გაყოლებით, ავად გახდა ხოლერით 26 კაცი და გარდაიცვალა 20. ენერგიული ზომებია მიღებული ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ.

სტამბოლი, 12 ნოემბერი. სულთანის ბრძანებით ფინანსთა მინისტრს მიენდო მოლაპარაკება დაიწყოს ას მილიონ ფრანკის სესხის აღების შესახებ. უკვე დაიწყო მოლაპარაკება ლონდონის ბანკთან, რადგან ოტომანის ბანკმა წინადადებაზე უარი განაცხადა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსაღები ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	47,30
პარიზისაზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89 3/8
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	424 1/2
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272 1/2
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244 1/2 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბითობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
   ღია არის დილით [illegible]—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქჩა, [illegible]ლი ტერ-ოხიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედ[illegible]როვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ა. ჟაჟაბიის თხზულება არ გაეგზავნათ იმათ, ვისაც წლიური ფული მრტო გაზ. „ცნობის ფურცლის" 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" 11 მ. 55 კ. არა ჰქონდათ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ. კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანასი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
ოთელის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— [illegible]
ავენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	[illegible]
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. შტერ[illegible]დისა	[illegible]
რძე, მისივე	[illegible]
ცხოვრებითა და მე[illegible]ალათა, თხზ.—გურის სენკევიჩისა	— 60
დასტურ-ლამა	— 2[illegible]
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 80
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 8[illegible]
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1 —

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible]ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

СѢДЕЛЬН,

СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ხოზოს ნიის ახლოს. (წ.—176—19

Дозволено цензурою, 14 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—სა."

Электроп. „Груз. Изд. Т—ва"